პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 70 (5620)

1976 წ. 10 აპრილი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს წარგზავნილები „საუკუნის მაგისტრალზე“

სპორტი მშრომელთა ერთგული მეგობარია



„საუკუნის მაგისტრალი“ — ასე უწოდებენ დღეს ბაიკალ—ამურის მაგისტრალს, რომელსაც თვალუწვდენელი საბჭოთის ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები აშენებენ. ერთმანეთის მხარდამხარ გმირულად შრომობენ რუსი, უკრაინელი, უზბეკი, ქართველი თუ სხვა ეროვნებათა ქალიშვილები და ვაჟები. ისინი არ უშინდებიან 50-გრადუსიან ყინვას, გაჰყავთ გზები, აგებენ სახლებს, სამუშაოსგან თავისუფალ დროს კი ერთობიან, ფიზიკურად იწრთობიან.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ბამის დასახლება ნია-გრუზინსკაიამ. აქ ცხოვრობენ საქართველოს კომკავშირის წარგზავნილები, რომელთაც უკვე ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ამ გრანდიოზული მაგისტრალის მშენებლობის მატიანეში.

ბამელებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ჩამოყალიბებულია სპორტული სექციები, რომლებშიც ბევრი ახალგაზრდა მშენებელია ჩაბმული. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საქართველოს წარგზავნილ მშენებელთა რაზმს ხელმძღვანელობს წარსულში მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი ანზორ დვალიშვილი, რვაწლიანი სკოლის დირექტორად კი სპორტის დამსახურებული ოსტატი ნადეჟდა დვალიშვილი მუშაობს. რასაკვირველია, სპორტის ვეტერანები ყურადღებას არ აკლებენ ნია-გრუზინსკაიაში მომუშავე ახალგაზრდებს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სხვა ობიექტებთან ერთად ააგეს „სპორტის სასახლე“, სადაც მეცადინეობა შეუძლიათ ფრენბურთის, კრივის, ძალოსნობის, ბადმინტონისა და სხვა სახეობათა სექციებს. (ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

სურათებზე: ქართველი მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბაგირის გადაძალვაში; ჭადრაკის დაფას მისხდომიან ა. დვალიშვილი (მარცხნივ) და ბ. გურგენიძე; ნია-გრუზინსკაიაში მრავალმხრივი სპორტსმენის სახელი დაიმსახურა ნ. გუგულაშვილმა. იგი კარგი მოჭიდავეა, მოკრივე და ძალოსანია. სურათზე თქვენ მას ხედავთ სიმძიმის აწევაში ასპარეზობის დროს; ბამელ მოკრივეთა ზ. სუთიძისა და გუგულაშვილის შეხვედრის მომენტი.

ბ. დადვაძის ფოტოები.

ეს ერის სატკივარია

კიდევაც დაიზრდებიან...

სკოლის მეგობარმა მურთაზ ძიმისტარიშვილმა დამირეკა, 6 აპრილის „ლელო“ თუ წაიკითხეო. წავიკითხე-მეთქი. გივი ყირმელაშვილის წერილზე შენი აზრი მაინტერესებსო.

მურთაზი თვითონ შესანიშნავი სპორტსმენი იყო ბავშვობაში, შემდეგ შვილებსაც სპორტულად ზრდიდა, ხანდახან სასაცილოდაც, პრიმიტიულად და მკაცრად, მაგრამ მაინც სპორტულად. ერთხელ შევესწარი, მეორე სართულიდან ეზოში თოკი ჩაეშვა, თოკის ბოლოს მისი ექვსი წლის ბიჭი ჩასჭიდებოდა და მამა მეორე სართულისკენ ეზიდებოდა. ამ „სპორტულ ღონისძიებას“ ნუ განვავრცობთ, მაგრამ ერის სატკივარზე კი, როგორც გამოირკვა, საუბარი აუცილებელია...

მაშ ასე, მიღწეულით ტკბობას ნუ მივეცემით, ვილაპარაკოთ მანკიერებაზე, ჯერაც ვერ მიღწეულზე...

მე ჩვენი ტრადიციული და დაშტამპული ტრაბახა თამადიდან დავიწყებ: „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენს საქართველოს, როგორც მსოფლიოში ცნობილია, ბადალი არა ჰყავს არაფერში. როგორც ამერიკის საჯარო ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ამბობს, ძველად მსოფლიოში სულ ექვსი აკადემია არსებობდა, აქედან ხუთი საქართველოზე მოდის, ერთი ესპანეთში ბასკებს ჰქონიათ, ხოლო ბასკები რომ ქართველები არიან, ეს უკვე კარგა ხანია დაამტკიცეს ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა. ესე იგი, ექვსივე აკადემია მსოფლიოში ქართული ყოფილა.

ჩვენს საქართველოს ბადალი არც ხმალში ჰყოლია. ერთზე ასნი მოდიოდნენ და მაინც ნუქარდინებსა და ჯალალედინებს კუდით ქვას ვასროლინებდით. აი, როგორი გახლავთ ჩვენი მამული. ამ ღონიერი და მსოფლიოში პირველი ქვეყნის სადღეგრძელოს შემდეგ, ძვირფასო მეგობრებო, მე მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი შვილების სადღეგრძელო, ჩვენი ბოკვრების, ალგეთის ლეკვების, მომავალი ლომებისა და ვეფხვების სადღეგრძელო. „ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი მასჭამონ მტრისანიო“. დიახ, შეხედეთ ჩვენს შვილებს, შეხედეთ ჩვენს მომავალ საქართველოს და დასტკბით. გაიხარეთ, მართლა ლომები არ არიან?!“

ტრაბახა თამადა ჯდება და ალავერდს გადადის სუფრის წევრებთან, გულში კი ყველა ერთნაირად ვფიქრობთ: წამლებზე ვფიქრობთ, ექიმზე ვფიქრობთ, ახალ პრეპარატებზე, მედიცინის გამოჩენილ ავტორიტეტთა სახელებზე ვფიქრობთ, იმაზე ვფიქრობთ ვის რა აბები გამოვტყუოთ, რა ამერიკულ და იუგოსლავიურ დიეტებს შევაფაროთ ჩვენი გაზულუქებული, ჩაპუტკუნებული, დანდალა შვილები.

ისევ 6 აპრილის „ლელოს“ დავუბრუნდეთ. საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელისა და ცნობილი პედაგოგის გ. ყირმელაშვილის წერილს. რამდენი ხანია ქვეშეცნეულად ველოდი ამ წერილს, რამდენი ხანია აღარ მჭერა ჩვენი შვილების ლომობისა და ბოკვრობისა.

როგორც თავში ვთქვი, ჩვენს ჯანსაღ ბავშვებზე არაფერს მოგახსენებთ.

აი, მოდიან — რუსთველით, პლეხანოვით, მოდიან ახალგაზრდები. საუბედუროდ ბევრს ნარკომანისგან ვერ გამოარჩევ, ვინც დიდია და მოსულია უმეტესობა დონდლოა, კუნთი არა აქვს, სისხლი არ უჩქეფს, ნაკვთებს სასიცოცხლო ინტერესები დაჰკარგვიათ. ზოგი განაზებულა, ქალიშვილის მორცხვი თვალებით შესციცინებს გამვლელ-გამომვლელს, ოქროსფერი კულულები მხრებზე დაჰფენია — საშინელებაა, საზიზღრობაა, რომელ ბოკვრებზეა ლაპარაკი!

თამადის სიტყვები კვლავ ყურს მიხვრეტენ: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

თვალწინ მიდგას ორი დედიშობილა ბიჭი, რომლებსაც მკლავებზე უსვენიათ საქართველოს ვეება ხმალი, ორი ფეხებგაჩაჩხული ბიჭი, ქართლის დედის წინ გარინდებული. ძლიერება, რომელიც ამ ეროვნულ ქანდაკებაშია ყელამდე ჩაქსოვილი, უფრო მეტყველს ხდის ავტორის ჩანაფიქრს. მერაბ ბერძენიშვილი ძველი სპორტსმენია, შესანიშნავი ათლეტი, შესანიშნავი ფეხბურთელი. ბერძენიშვილის ჯანმრთელი სულია შთაბერილი ალგეთელ ლეკვებში.

სოლოლაკიდან საბურთალოს სპეციალისტების სახლამდე ტრანსპორტი მიდიოდა, შემდეგ, შემდეგ კი ფეხით, აღმართებს შევუდგებოდით ხოლმე ლისის ტბამდე. ეს, როგორც წესი, ყოველ კვირას ზაფხულის დღეებში. ახლა ზამთარი? თოვლს ვინ გააცდენდა, მოგონილი იყო ბაკურიანი მთაწმინდასთან. სახელდახელოდ ამოქმედდებოდნენ ხოლმე სათხილამურო ჯიხურები, გამქირავებელი პუნქტები. სიცოცხლე ჩქეფდა თბილის-

(დასასრული მე-2 გვ.).

ჯერჯერობით...

თბილისის „ისნის“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლიორებს შორის. თბილისელები დამარცხდნენ — 1:2. ეს მათი მეორე წაგებაა გათამაშების სტარტზე. „დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: იმნაძე, გავაშელი, კანთელაძე, ჰილაია, ებრალიძე, მინაშვილი, ებანოიძე, კოპალეიშვილი, დვალიშვილი, გ. მაჩაიძე, წერეთელი.

ფეხბურთი

პირველი დღე — პირველი სენსაცია

კატოვიცე, 8 აპრილი. პოლონეთის ამ ქალაქის სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე დღეს სტარტი აიღო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატმა ჰოკეიში. ამ საინტერესო ასპარეზობის პირველი შაიბა შვედმა ლარს-გუნარ ლუნდბერგმა გაიტანა მე-16 წუთზე გფრ-ის ნაკრების კარში. შვედებმა ძლიერად ითამაშეს და ანგარიშით 4:1 (1:0, 1:0, 2:1) სძლიეს ინსბრუკის XII „თეთრი ოლიმპიადის“ ბრინჯაოს პრიზიორს. გამარჯვებულთაგან დანარჩენი შაიბები გაიტანეს ლაბრაატენმა, რ. ერიქსონმა და იაქსმა, ხოლო გერმანელთაგან — კიუნჰაკლმა.

მწვავე და საინტერესო გამოდგა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფინეთის ჰოკეისტთა შეხვედრა. ამ მატჩისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ამერიკელთა ნაკრებში ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მსოფლიოს ჰოკეის ასოციაციის პროფესიული კლუბების შვიდი წარმომადგენელი თამაშობდა. მათგან ცენტრალური ფიგურა იყო მეკარე ლაპრესტი, რომელმაც მართლაც ჩინებულად ითამაშა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 3:3 (0:2, 2:0, 1:1).

შაიბები გაიტანეს: ამერიკელთაგან — მორროუმ, შნაიდერმა და კლეტმა; ფინელთაგან — კანანენმა, ნუმელინმა და კოსკინენმა.

შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის ნაკრები კოლექტივები. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა — 10:0, (2:0, 2:0, 6:0).

შაიბები გაიტანეს: ნოვიმ (4), პოლიკმა (2), მ. შტიასტნიმ, მარტინეცმა, ი. ნოვაკმა, ბ. შტიასტნიმ.

როგორც ხედავთ, ბოლო მატჩამდე (სსრ კავშირი — პოლონეთი), რომელიც გვიან საღამოს დამთავრდა, ყველაფერი „გეგმის მიხედვით“ მიმდინარეობდა. მაგრამ აი, სწორედ ბოლო შეხვედრამ მოიტანა არა მარტო ამ ჩემპიონატის სენსაცია, არამედ, საერთოდ ჰოკეის ისტორიისა. 12-ჯერ შეხვედრიან ეს გუნდები მსოფლიო ჩემპიონატებში ერთმანეთს და თორმეტივეჯერ გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები იყო, დაწყებული ანგარიშით 8:3 და დამთავრებული 20:0-ით. ინსბრუკის XII ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ჰოკეისტებმა პოლონელებს სძლიეს ანგარიშით 16:1, დღეს კი ამ მეტოქეთა შეხვედრა საოცრად მიზანსწრაფულად და შეუპოვრად მოთამაშე პოლონელებმა მოიგეს — 6:4 (2:0, 3:2, 1:2).

აი, რა თქვა მატჩის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბ. კულაგინმა:

— ჩვენ ზედმეტმა თავდაჯერებამ დაგვღუპა. ძალიან ცუდად ვითამაშეთ. პოლონელებმა კი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარეს, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მათმა მეკარემ ანჯეი ტკაჩმა.

კიდევაც დაიზრდებიან...

ეს ერის სატკივარია

დასასრული

შა. მოზარდის თეთრხალათიანი ექიმი თოვლი და ყინვა იყო; მზე და წყალი იყო მოზარდის უებარი წამალი.

კომფორტს გადაყოლილმა მშობლებმა შვილებს სოფელი დავუკარგეთ, ქალაქში სპორტული ბაზები მოვუშალეთ, მათს ადგილზე რესტორნები წამოვჭიმეთ. მტკვარზე, იქ, სადაც ერთ დროს 17-18 წლის ბიჭები ერთმანეთს ცურვაში ეჯიბრებოდნენ, ახლა რესტორანია აგებული და ახალგაზრდები ერთმანეთს სამტროდ გამზადებულნი იარაღსაც ულერებენ. არ გახლავთ ყველაფერი ეს მუქ ფერებში ხატვა, ეს ყველაფერი ფაქტია და, საუბედუროდ, მწარე სინამდვილე.

ბავშვებს აქტიურობა წავართვით, ტელევიზორებთან გამოვაშტერეთ. აქაოდა ინფორმაციის დიდი წყაროა, წიგნი შეცვალა ტელევიზორმა, დილიდან საღამომდე ტელევიზორთან ჯდომა კი თრიაქზე უარესია.

ერთ უბედურებაზეც მოგახსენებთ: პიონერთა ბანაკებს ემალებიან ჩვენი შვილები, ემალებიან თუ ვუმალავთ, ვუმალავთ და კალთას ქვეშ ვზრდით? რა გამოვიდა? კოლექტივის შეგრძნებაც აღარ არსებობს ჩვენს ბავშვებში. რამდენიმე მეგობარი სექტანტურად ჩაკეტილა თავის ნაჭუჭში. არადა; მოზარდი ყოველ წელს ათობით მეგობარს უნდა იძენდეს. დიდებულია ცხოვრება პიონერთა ბანაკში. იქ სხვადასხვანაირი ხასიათები ბობოქრობენ, ხოლო ხასიათთა ურთიერთჭიდილში ნებისყოფა ფოლადდება. ოჯახს დროებით მოშორებული ბავშვი, მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში გასული ბავშვი დამოუკიდებლობას იძენს, ხოლო დღევანდელი დამოუკიდებლობიდან იწყება მოქალაქე და მამულიშვილი, რომელიც 40 წლის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს.

მოზარდისთვის ფიზკულტურის გაკვეთილი ისევე ღვიძლი და სისხლისმიერი უნდა იყოს, როგორც მშობლიური ენისა და ისტორიისა.

ნება მომეცით, ცოტა უკან დავიხიო... თბილისის უნივერსიტეტიდან ორთვიან შეკრებაზე ვიყავით გორში. თითო კარავში ათ კაცს გვეძინა. სადილივით გაუყოფელი იყო ჩვენი დღე და ღამე, ჩვენი ჭირი და ლხინი. ყოველი დღე სპორტული გახლდათ, მაგრამ კვირა დღე განსაკუთრებით გვიხაროდა. სპორტული ზეიმი გვქონდა ხოლმე ქალაქ გორში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გორელებს ვეჯიბრებოდით.

ერთი ეპიზოდი მინდა მოვიგონო: ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედანზე ერთი ქართლელი ბიჭი გადმოხტა, საჭიდაო ჩოხა ლამაზად მოირგო, ქამარი შემოიწვართნა და თავის ფანდს დაელოდა. ჩვენ აქედან ჩვენი „ჯილა" გავუშვით, გრუზათმიანი, დაკუნთული, მოზვერივით დაბღვერილი და მოხდენილი 20 წლის ჭაბუკი. ის მეორეც არ იყო ნაკლები, ზღაპრებში რომ ოქროსთმიან ბიჭებზე წავიკითხავს, ისეთი იყო.

ერთმა მოხუცმა შინდის წკეპლით ხალხი მისწი-მოსწია, საჭიდაო წრე თვალსაჩინოდ გამოკვეთა და დამკვრელებს თვალით ანიშნა, შენ დაუკარ. დასცხეს დოლსა და გაახურეს. ჩაბერეს ზურნასა და დუდუკს, დამკვრელებმა ლოყები დაბერეს, ისეთი ეშხით უკრავდნენ, რომ საჭიდაოდ კი არა, საბრძოლველად გაიჭრებოდი...

ნერვები დაიძაბა...

წყვილი ერთმანეთს მიესალმა, შემდეგ დაშორდა. ახლა ერთურთი დაზვერეს, აქედან გაებღლარძუნენ, იქედან დაექიჩმაჩნენ ჩოხებს. ჩვენმა „შავმა მარგალიტმა" დაითრია ის ოქროსთმიანი და მიწაზე დაანარცხა. უჰ, შენ კი გენაცვალეო, შესძახეს უნივერსიტეტელებმა, მაგრამ გორელებმა შეუძახეს — არ არის, არ არისო, ბეჭებით არ შეხებიაო. არ არისო და თავიდან დაბერეს ყბები დამკვრელებმა, ისევ დაიჭიმა ნერვები. ახლა ის ოქროსთმიანი ეცა ჩვენს „შავ მარგალიტს", ეცა, მაგრამ თავისსავე ილეთზე გამოიჭირეს, ასწიეს და ისევ მიწას გააკრეს. წაქცეული განგებ, კარგად და ლაზათიანად გასწორდა, ორთავე ბეჭი მიწას მიაზმანა და თავმობეზრებულმა ქვევიდან ხალხს შესძახა: ხალხნო, თქვენი დედა ვატირე, თქვენი, კიდევ არა ვარო?!

ბიჭებმა გამარჯვებული ფალავანი ხელში ავიტაცეთ. ვინ იყო ეს გამარჯვებული? წარსულში შესანიშნავი სპორტსმენი, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ეცადაშვილი. დღეს არ ვიცი, იქ, გურჯაანში, როგორაა სპორტული ბაზების საქმე. თუ კარგადაა, ხომ სანაქებოა, თუ არა და წარსული მაინც გავიხსენოთ და ყურძნის დიდ მოსავალთან ერთად ქართულ სპორტსაც შევუწყოთ ხელი.

მეათეკლასელები ვიყავით მე, ოთარ ჭილაძე, ანზორ სალუქვაძე, გურამ თიკანაძე, გურამ რჩეულიშვილი (გურამ რჩეულიშვილი მეცხრეში იყო). შატილისკენ მივდიოდით, პიონერთა სახახლიდან მივდიოდით, ბარისახოდან ფეხით გავუყევით, შატილში შევიტყვეთ, რომ ერთ ჩვენს მეგობარ გოგონას ზურგჩანთა დაეკარგოდა. ცხენიდან გადმოვარდნილი ზურგჩანთა დაახლოებით ვიცოდით, სად უნდა გვეძებნა, რომელ ქარაფთან, რომელ უფსკრულში... გურამ რჩეულიშვილი პირველი მოახტა უბელო ცხენს და გააქროლა ვიწრო ბილიკით. მეც უკან გავყევი მეორე ცხენით. გულში რაღაც ჩამწყდა, ალბათ იმისთვის, რომ დამასწრო, ვაჟკაცობა დამასწრო. მეოცე კილომეტრზე ალღომ გაგვიმართლა და უფსკრულიდან იმ მშვენიერი გოგონას ზურგჩანთა ამოვათრიეთ. ცხენს ავკიდეთ და ისევ უკან დავბრუნდით შატილისკენ. მე არ ვიცი, რამდენად თვალსაჩინო ვაჟკაცობაა, რაც მოვიმოქმედეთ, ის კი ვიცი, რომ ხევსურეთში მოგზაურობიდან ყველაზე მძაფრად ეს ეპიზოდი ჩამრჩა მეხსიერებაში.

უნდა გავუშვათ; შვილები ტურისტებად უნდა გავუშვათ, შვილებს სამშობლო კუთხე უნდა შევაყვაროთ. გზამ პატარ-პატარა ფათერაკებიც იცის, მაგრამ არ უნდა შევუშინდეთ. კარგია, როცა ბავშვი წინააღმდეგობათა დაძლევას ეჩვევა, მდინარეს გადალახავს, ზეკარს გადავა, მწვერვალზე ავა, ციხეს ნახავს, ერის ისტორიას დაუახლოვდება, უფსკრულისკენ მიმავალ მეგობარს ხელს შეაშველებს, საგზალს გაუყოფს, საკუთარ ხასიათს დახვეწს და გამოკვეთს. არ დადიან ჩვენი შვილები მშობლიურ კუთხეში, ახლა მსოფლიოში ყველგან გახსნილია გზა და რა ცოდოა ახალგაზრდა, რომელსაც მშობლიური კუთხე არ უნახავს და პირდაპირ უცხოეთში მიემგზავრება. მეტი პროვინციალიზმი ღმერთმა დაგვიფაროს.

როცა ეს დიდი და ეროვნული გულისტკივილი ნაუცბათევად ქაღალდზე გადმომქონდა, კვლავ ჩემი სტუდენტობა მაგონდებოდა. კრივის სექციაში დავდიოდი უნივერსიტეტში. ცნობილი მოკრივე შალვა დვალი ყოველ მისვლაზე მეუბნებოდა: იმდენს მაინც გასწავლი, ხულიგნებმა ვაგლახად ვერ შემოგბედონ და შემდეგ შენ იცი, ისე გიქნია, რუსთაველი გამოსულხარო. სპორტს ზურგს შეაქცევდი და დედიშენის შვილი იყავი, უნივერსიტეტის რექტორს ნიკო კეცხოველს დაენახვებოდი. აქედან დასკვნა: უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, რა თქმა უნდა, სპორტსმენი იყო.

ერთხელაც მინდა უკან მივიხედო. ახლაც მესმის და სულს მიფორიაქებს კულა გლდანელის კუთხიდან — გლდანიდან წამოსული ზურნის ჭყვიტინი და დოლის გულის ბაგაბუგი, ძლიერი ბაგაბუგი გახურებული გულისა... მოდიოდნენ და მოდიოდნენ მარტყოფობას სინჯიკაშვილები და ჯიშკარიანები, სხვანი და სხვანი, მოდიოდნენ ავჭალიდან და თვალადიდან, გორიდან და კავთისხევიდან, ახალსოფლიდან და კაკაბეთიდან... მარტყოფობა ნამდვილი სანახაობა გახლდათ. აი, სად იყვნენ ბოკვრები და მგლის ლეკვები! მთიდან უბელო, პატარა ცხენებით ეშვებოდნენ ყოჩაღი ხევსურები.

სანახაობით განცვიფრებულნი, ქადაგად დავარდნილნი, ფერხულში ებმებოდნენ, სიცოცხლით ივსებოდნენ, ადამიანის გაჩენას ლოცავდნენ.

შორით მოვუხმობ ჩემს ცოცხალ მოწმეებს, მე ვეკითხები სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორს, პროფესორ არჩილ ასათიანს, საქართველოს ფრენბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრს, ვაკეთებდით თუ არა ჩვენი ხელით სპორტულ მოედნებს, ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდებოდა, თუნდაც კიკეთში, სადაც ბავშვობის წლები გაგვიტარებია? მერედა, ვინ გვეხმარებოდა? არავინ. ისევ ჩვენი ბიჭები თავკაცობდნენ ამ საქმეს... ნოდიკა მენაბდე და მერაბ მაჭავარიანი, რეზო ქაჯაია და გოგი დემეტრაძე, გოგი დემეტრაძე, უნივერსიტეტის ყოფილი ჩემპიონი კრივში (ისიც მინდა დავსძინო, რომ გოგი დემეტრაძეს წონაში მეტოქე არასოდეს ჰყოლია და ამიტომ ჩემპიონობაც უადვილდებოდა). რა ბიჭები იყვნენ, ახლა როგორები არიან, სპორტის წყალობით, მხოლოდ და მხოლოდ სპორტის წყალობით.

ხალხით გაჭედილი სტადიონის სარბენ ბილიკზე ქარს მიაპობდა ჩემი მეგობარი, თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე მურზაყან გეგეშიძე, დღეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, „პროექტავტომატიკის" თბილისის ფილიალის მთავარი ინჟინერი. საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრების წევრი იყო ფრენბურთში კარლო გაბუნია, სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ძლიერი, ვაჟკაცი, მოხდენილი. დღესაც ასეთია. კარლო გაბუნიასთან ერთად იცავდა ჩვენი ერის სპორტულ ღირსებას ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გურამ ცერცვაძე. ახლა მე თქვენ ერთ ჯგუფს კი არა, მთელ სკოლას ვერ დაგისახელებთ, სადაც ოთხი ჩემპიონი სწავლობს ერთად.

...კიროვის პარკში ტევა არ იყო, მოწინააღმდეგის ფარს უტევდნენ დღეს უკვე გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკები: მარენ კეკელია და გუგა ზაქარიაძე. გულშემატკივართა კიჟინი ქუჩაში აღწევდა. რამდენი ერთი ჩამოვთვალო! სპორტმა გადაარჩინა ჩემი თაობა, ომგამოვლილი, მშიერ-მწყურვალი, მაგრამ ომის ქარცეცხლშივე გამობრძმედილი ჩემი თაობა.

ბევრი მინდა გავიხსენო: მე მახსოვს ამ 25 წლის წინათ ორი ჩემპიონის, ორი ფრიადოსანი სტუდენტის, ორი ნიჭიერი სპორტსმენის, ორი ძვირფასი მეგობრის შერკინება. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ დღეს უკვე ცნობილი რუსთველოლოგი და პროფესორი, მწერალი სარგის ცაიშვილი და დღეს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ კურცხალია. ორთავეს ერთი და იგივე გულშემატკივარი ჰყავდა: ნოდარ ჩხეიძე და ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, თამაზ ჩხენკელი, რევაზ თვარაძე, გიგლა ხუხაშვილი, რამაზ პატარიძე და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. მათს შეხედვას არაფერი ჯობდა. ჩვენ მოწმენი ვიყავით ნამდვილი სპორტული ბრძოლისა. ამ წერილში ვერ გაგიმხელთ, რომელმა გაიმარჯვა, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ დღეს იმ დიდი სპორტის წყალობით ორივე ჯანმრთელია და ორივე გამარჯვებული ემსახურება სამშობლოს ხვალინდელ დღეს. ვერც წულუკიძის სპორტულ ბაზებზე ვიტყვით, დედა რა ვნახეო, მაგრამ წულუკიძე და ცაგერის რაიონი რა შუაშია, როცა თურმე საერთოდ მოძმე რესპუბლიკებს შორის საქართველო ბოლო ადგილზე ყოფილა.

...შემოდის მეზობელი. შემოაქვს ვეებერთელა სია, უფლებას თხოულობს, რათა ეზოში მანქანის გარაჟი აიშენოს: პატივცემულო, თქვენს გარდა ყველამ მომიწერა ხელი. თქვენც თუ მომიწერთ, ყველაფერი რიგზე იქნება და ეზოში გარაჟს წამოვჭიმავო. „მეზობელს როგორ ვაწყენინებ, — დიდი სიამოვნებით", — ვეუბნები მე და ხელს ვუწერ. გავიდა დრო, ახლა სხვას მოვუწერე ხელი. მეხუთეს, მეათეს და დღეს ჩვენი ეზოს 15 გარაჟის თავზე დარბიან და კისერს იტეხენ ჩვენი გაზულუქებული და ჩადანდალებული შვილები.

სულ მთლად ასე არაა საქმე, მეტყვით. მე, რა თქმა უნდა, დაგეთანხმებით, ჯანმრთელებიც არიან, რაინდებიც არიან, სხვანაირად ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ცოტანი არიან თურმე ისინი.

გზა მივცეთ სპორტს, ვაშენოთ სპორტული ბაზები, ჯანსაღ მომავალს ჯანსაღი თაობა აშენებს.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

მონდომებაა მთავარი

აგერ უკვე ორმოცი წლის კაცი ვარ და ჩემს სიცოცხლეში არც ერთხელ რედაქციაში არავითარ საქმეზე წერილი არ მიმიწერია. მაგრამ ახლა ეს გამაბედვინა „ლელოს" 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „მივხედოთ ჩვენს შვილებს", რომლის ავტორიც გ. ყირმელაშვილია.

წერილმა ძალიან ამაღელვა. განა იმიტომ, რომ რაიმე ახალი ამბავი გავიგე. არა, ამ წერილში ითქვა, ის, რაც ალბათ ყველას გვაწუხებდა. დიახ, ამ წერილის ყოველი სიტყვა და წინადადება, ჩვენდა საუბედუროდ, მწარე სინამდვილეა. თამამად ვიტყვი: განა არ შემცირდება ჩვენში ბავშვების უსაქმურობის ნიადაგზე აღმოცენებული, ჩვენი საზოგადოებისთვის მომაკვდინებელი სენი — ნარკომანია, ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, ჩვენს მოზარდებს საკმარისად რომ ჰქონდეთ სპორტული მოედნები და დარბაზები?

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ბავშვობაში ნაჭრის ბურთით გატაცებით უთამაშია. თუ სადმე გასაბერი ბურთი აღმოჩნდებოდა, მის პატრონს ათასნაირად ველოლიავებოდით, როგორც უბნის „პირველ კაცს".

დღეს მშობლებს საშუალება, აქვთ ყველაფერი უყიდონ ბავშვებს, მაგრამ რატომღაც თვით ბავშვებმა დაკარგეს ინტერესი მოძრაობისადმი და, როგორც გ. ყირმელაშვილის წერილშია ნათქვამი, რომ დავუკვირდეთ, მათს უმრავლესობას მომეტებულ სიმსუქნეს და სიზარმაცეს შევამჩნევთ. ჩვენ კი, ჩვენ დილიდან საღამომდე ქვაფენილზე, ფეხშიშველებს შეგვეძლო ნაჭრის ბურთით გვეთამაშა.

ცხოვრება წინ მიდის და ბავშვებიც ალბათ მეტს ითხოვენ, რადგანაც ისინი დღეს უფრო გათვითცნობიერებული არიან, ვიდრე ჩვენ ვიყავით მათს ასაკში. ამიტომ მათ აღარ მოსწონთ ქვაფენილზე და პატარა, დახშულ ეზოებში ფეხბურთისა თუ კალათბურთის თამაში. მათ სპორტული მოედნები და დარბაზები უნდა ჰქონდეთ.

მე დიღმის მასივში ვცხოვრობ. ამ მრავალათასიან დასახლებაში არ არის არც ერთი ფეხბურთის მოედანი, საცურაო აუზი ან სხვა ბაზა. მეორე კვარტალში მდინარე დიღმურას პირას „რატომღაც" აუთვისებელ ადგილას ერთი ენთუზიასტი ფიზკულტურის მასწავლებლის გარჯის წყალობით სპორტული მოედნის ჩანასახი გაკეთდა — პრიმიტიულად მოსწორდა ნიადაგი და ორივე მხარეს ხელბურთის სათამაშო კარები დაიდგა. ეს არის და ეს, რის გაკეთებაც შეძლო ჩვენმა ენთუზიასტმა, რომელიც არ შეუშინდა ზოგიერთის მუქარას (საქმე ისაა, რომ სპორტული მოედნის მოწყობას მოწინააღმდეგენიც საკმაოდ გამოუჩნდნენ).

კარგ თაოსნობას გაგრძელება უნდა. საჭიროა მოედნის შემოღობვა, მიწის საფარის შეცვლა და სხვ. ამისთვის ალბათ პარტიის პირველი მაისის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა იზრუნონ. მე მშენებელი ინჟინერი გახლავართ და ვიტყვი, რომ არაფერი დიდი თანხა არ არის საჭირო ამ კარგი საქმის დასამთავრებლად. ვფიქრობ, აქ მონდომებაა მთავარი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყირმელაშვილის წერილში წამოჭრილი საკითხი მართლაც ჩვენი ერის სატკივარია.

გ. ჭავჭანიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.

ასპარეზობენ სტუდენტები

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომელშიც ყველა ფაკულტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ, მოჭადრაკეთა შეჯიბრებით გაიხსნა. მოასპარეზენი (თითოეულ გუნდში ორ-ორი ქალი და ვაჟი) ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ამ ჯგუფებში I ადგილებზე გასული კოლექტივები ჩემპიონის სახელს შეეცილნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მოჭადრაკეებმა. II ადგილი წილად ხვდათ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს. მესამეზე იყო რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი.

საინტერესო გამოდგა ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობა. პირველობა აქაც ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარმომადგენლებს ხვდათ. შემდეგ მოდიან საბუნებისმეტყველო და რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები. ვაჟები სპარტაკიადის დახურვის დღეს შეხვდებიან ერთმანეთს ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში.

ასევე საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში (თითოეულ გუნდში ერთი ვაჟი და ორი ქალი), სადაც პირველობა არავის დაუთმეს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. II საპრიზო ადგილზე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდი გავიდა, III — რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი.

სამი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში 4 საჯარიმო ქულით ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები ლიდერობენ. II ადგილზე არიან რუსული ფილოლოგიის (9 საჯარიმო ქულა), ხოლო III — საბუნებისმეტყველო (10) ფაკულტეტების სტუდენტები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. დანელია.

დაწინაურდნენ დიღმელები

დამთავრდა მცხეთის რაიონის მოსწავლეთა XXVIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოჭიდავეთა შეჯიბრებამ, რომელიც სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა. საასპარეზოდ საშუალო სკოლების 130-ზე მეტმა მოსწავლემ მოიყარა თავი.

ჩემპიონობა მოიპოვეს: გ. გიგაურმა, ნ. ჩანადირმა, უ. ურთაშვილმა, გ. ჩანადირმა (ყველა — მისაქციელი), ზ. კოწოწაშვილმა, მ. ფირუზაშვილმა, ვ. სოხიაშვილმა, გ. მარიამულმა (ყველა — დიღომი), თ. წიკლაურმა, დ. კოტორაშვილმა (ორივე — გლდანი), თ. კვახაძემ (ძეგვი) და ა. მალხაზოვმა (ძველი ქანდა).

გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს დიღმის საშუალო სკოლის მოჭიდავეებმა. II ადგილი წილად ხვდათ გლდანის, ხოლო III — წილკნის საშუალო სკოლების გუნდებს.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში იმარჯვეს დიღმელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა, კალათბურთში კი — მისაქციელელებმა.

სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში დაწინაურდა დიღმის საშუალო სკოლა.

ზ. მამულიშვილი,
მცხეთის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობას რა უნდა...

მეორე ადგილზე!

როგორც ვიუწყებოდით, მარტის დამლევს კუიბიშევში ჩატარდა ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა. ამ ტურნირის გუნდური შედეგები არასწორად იყო დაჯამებული ცენტრალურ პრესაში და ჩვენს გაზეთშიც.

I ადგილი დაიკავა რსფსრ-ს კოლექტივმა, რომელმაც 25 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ საქართველოს წარმომადგენლები — 15 ქულა. მოლდავეთისა და აზერბაიჯანის გუნდებმა თანაბარი ქულები (14-14) დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა მიენიჭა მოლდავეთის მოჭიდავეთა კოლექტივს, რომელსაც ორი ჩემპიონი ჰყავდა. აზერბაიჯანის ძიუდოისტები IV ადგილზე დარჩნენ. სულ ასპარეზობაში 17 გუნდი მონაწილეობდა.

გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს:

58 კგ. 1. ა. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), 2. ი. გოლევი, 3. ს. კოსტოვი (ორივე — რსფსრ) და ა. ზურაბიანი (საქართველო).

65 კგ. 1. ლ. ცისკარიშვილი, 2. თ. კარიაული (ორივე — საქართველო), 3. რ. ლარინი და მ. ფარჩიევი (ორივე — რსფსრ).

75 კგ. 1. ვ. მიხეევი (მოლდავეთი), 2. ს. დოლგოარშინიხი (რსფსრ), 3. ი. მამედოვი (აზერბაიჯანი) და ა. ეგლისკალიაცი (ლატვია).

85 კგ. 1. ს. კალოვი (რსფსრ), 2. ი. ახმედოვი (ყირგიზეთი), 3. ა. გუნინი (ესტონეთი) და ბ. ტვილდიანი (საქართველო).

მძიმე. 1. ს. მიასკოვსკი (მოლდავეთი), 2. ა. ჩეროშკო (ლატვია), 3. ს. სელეზნიოვი (რსფსრ) და ვ. ბონდარენკო (უკრაინა).

[illegible]

კიდევ ერთი რეპეტიცია

სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების გუნდის მწვრთნელს ვ. ანდრეევს წლეულს დიდი ჯაფა ადგას. მან საბჭოთა ქვეყნის მთავარი გუნდი უნდა მოამზადოს ორი პასუხსაგები ტურნირისთვის. ერთია ევროპის ჩემპიონატი, რომელიც მაისში კიევში ჩატარდება, მეორე — მონრეალის ოლიმპიური თამაშები.

საბჭოთა ნაკრების წევრთა ყოველი გამოსვლა მიმდინარე სეზონში სწორედ ამ ტურნირებისთვის მზადების გარკვეული საფეხურია. ამიტომაც სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაციამ სიხარულით მიიღო ჰოლანდიელთა წინადადება ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე.

კონკრეტულად რა მიზნებს ისახავდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, როცა ჰოლანდიაში გასამგზავრებელი გუნდის ვარიანტს ადგენდა, ჩვენ არ ვიცით. ის კი ცხადია, რომ ტულიპების ქვეყანას ეწვია საკმაოდ ძლიერი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც მოხვდა სამ-სამი მოჭიდავე საქართველოდან და რუსეთის ფედერაციიდან. აი, როგორი იყო საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ცალკეულ წონებში: 63 კგ — ა. ობგაიძე, 70 კგ — ვ. ნევზოროვი, 80 კგ — ა. ვოლოსოვი და ა. ბარკალაევი, 93 კგ — თ. ხუბულური, მძიმე წონა — შ. ჩოჩიშვილი.

ასპარეზობაში მონაწილეობას თავი აარიდეს ძიუდოს ფუძემდებლებმა — იაპონელებმა. ეს, რა თქმა უნდა, მათი უფლება იყო, მით უმეტეს, რომ იაპონელები ახლა განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებიან ოლიმპიური ტურნირისთვის. სხვათა შორის, ამბობენ, იაპონელებს წლეულს უამრავი პრობლემა გაუჩნდათ ევროპელთა მზარდი კონკურენციის გამოო. ალბათ სწორედ ესაა მათი ასეთი კარჩაკეტილობის მიზეზი.

სამაგიეროდ, შესამჩნევად გააქტიურდნენ ევროპის ქვეყნები, პირველ ყოვლისა კი გდრ-ისა და პოლონეთის ძიუდოისტები. წლეულს მათ ბევრ ოფიციალურ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ყველგან გარკვეული კვალი დატოვეს. ჰოლანდიის ღია ჩემპიონატში მათთან ერთად გამოდიოდნენ საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების ათლეტები. სულ 14 გუნდი ასპარეზობდა. „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები — სამივემ I ადგილები დაიკავა და ჯილდოდ მიიღო ჰოლანდიის ღია ჩემპიონატის ოქროს მედლები.

ა. ობგაიძეს ტოლი არ ჰყავდა მსუბუქ წონაში. მან ხუთი შეხვედრა ჩაატარა, სანამ ფინალში ბრძოლის უფლებას მოიპოვებდა და ყველა წმინდად მოიგო. ფინალურ შეხვედრაში იგი ქულებით გამარჯვებას დასჯერდა.

ოთხი ბრძოლა მოიგო წმინდად თ. ხუბულურმა (ქვემძიმე წონა). ფინალში იგი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს, ჰოლანდიელ ფორსმანს შეხვდა. ჰოლანდიელს ვერ უშველა „საკუთარი კედლების" უპირატესობამ. ხუბულურმა ფინალური ბრძოლაც მოიგო (ქულებით) და I ადგილი დაიკავა.

ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა შ. ჩოჩიშვილმაც (მძიმე წონა). მან ხუთივე ბრძოლა ვადამდე დაამთავრა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ფინალური შეხვედრა ჰოლანდიელ გიგანტ ადელართან (იგი სიმაღლით 2 მეტრია). ჩოჩიშვილმა არ უღალატა ტრადიციას და ეს გოლიათიც წმინდად დაამარცხა.

მოულოდნელი იყო ნევზოროვის მარცხი ნახევარფინალში გდრ-ის ერთ-ერთ ახალგაზრდა ძიუდოისტთან. მსოფლიო ჩემპიონს ამ წაგებამ ფინალის გზა გადაუკეტა და იგი III ადგილზე დარჩა.

საშუალო წონაში უძლიერესი იყო პოლონელი ა. ადამჩიკი. ნახევარფინალში მან ვოლოსოვს მოუგო, ხოლო ფინალში — ბარკალაევს. ამიტომაც ვოლოსოვს მესამე პრიზი ხვდა, ბარკალაევს კი — მეორე.

ახლა, ამ ტურნირის შემდეგ, საბჭოთა ძიუდოისტები უკანასკნელ სამზადისს გადიან ევროპის ჩემპიონატის წინ.

ნ. ახვლედიანი.

სურათებზე (მარცხნიდან): ა. ობგაიძე, თ. ხუბულური და შ. ჩოჩიშვილი.

მწვრთნელს ამაგი დაუფასდა

პაატა ჯავახიშვილი და ნოდარ ნუგზარაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონები

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდურმა პირველობამ სამბოში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა მაიკოპში, წარმატება მოუტანა ადგილობრივ სპორტსმენებს. მათ გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. II საპრიზო ადგილი საქართველოს ნაკრებს ხვდა, III — უკრაინის კოლექტივს.

პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს ორი I და ოთხი II ადგილი. ორივე გამარჯვებული წარსულში ცნობილი სამბისტის ლავრენტი კაციაშვილის აღზრდილია. პაატა ჯავახიშვილმა, რომელიც ამჟამად გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატში სწავლობს, I ადგილი მოიპოვა 87 კგ წონითს კატეგორიაში. მან ხუთივე შერკინება წმინდად მოიგო. ნოდარ ნუგზარაშვილი კასპის რაიონის სოფელ მეტეხის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა. იგი მძიმეწონოსანთა ტურნირში ასპარეზობდა და, ისევე როგორც ჯავახიშვილმა, ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო.

ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ოთხი სამბისტი გახდა პრიზიორი (III ადგილები დაიკავეს). სამი მათგანი კასპის რაიონიდანაა და ვარჯიშობს ლ. კაციაშვილის ხელმძღვანელობით. ესენი არიან ვ. ბოლოთაშვილი (45 კგ), ი. ბარნაბიშვილი (56 კგ) და ლ. ნავროზაშვილი (60 კგ). მეოთხე პრიზიორია თელაველი გ. თურმანაული (81 კგ).



პ. ჯავახიშვილი. ნ. ნუგზარაშვილი.

შეჯიბრების შემდეგ შედგა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნაკრები, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო პირველობაში. ნაკრებში ჩაირიცხნენ ჯავახიშვილი და ნუგზარაშვილი.

და აი, სასიხარულო ცნობა მოვიდა პანევეჟისიდან. იქ დამთავრებულ საკავშირო პირველობაში ჯავახიშვილმაც და ნუგზარაშვილმაც I ადგილები მოიპოვეს. საინტერესოა ითქვას, რომ ორივემ ექვს-ექვსი შეხვედრა ჩაატარა პანევეჟისის სარბიელზე და ყველა ბრძოლა დროზე ადრე დაამთავრა. ჯავახიშვილი პირველად გახდა სსრ კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონი, ნუგზარაშვილი კი — მესამედ (ორჯერ სამბოში, ერთხელ — ძიუდოში).

წარმატებით იასპარეზეს, აგრეთვე, გორელმა ჭაბუკებმა ვ. ბიბილაშვილმა და მ. პაიჭაძემ (ორივე — „განთიადი"): პირველმა ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა 56 კგ წონითს კატეგორიაში, მეორემ — მძიმე წონაში.

ც. ფიქიალაძე.

საგაზაფხულო სტარტები

გაზაფხულის მოახლოება თბილისში მუდამ ველოსპორტის სეზონის გამოცოცხლებას ემთხვევა. ტრადიციულად, პირველად ძალას საგზატკეცილო რბოლის ოსტატები ცდიან.

რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე რამდენიმე ტურნირი ჩატარდა. თავდაპირველად სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელიც სამ ეტაპად მოეწყო. სამივე ეტაპის ჯამში გაიმარჯვა ბურევესტნიკელმა ა. ხახიაურმა, რომელიც ორჯერ პირველი იყო, ერთხელ კი — მეხუთე.

მერე რუსთავში ჩატარდა კრიტერიუმი, სადაც ადგილობრივ ველოსიპედისტებთან ერთად ასპარეზობდნენ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრები. რბოლა მოიგო ხომუტოვმა („ბურევესტნიკი").

მესამე შეჯიბრება უკვე ოფიციალური ხასიათისა იყო. გათამაშდა მოსწავლეთა რესპუბლიკური თასი საგზატკეცილო რბოლაში, რომლის პროგრამაშიც იყო ინდივიდუალური, გუნდური და ჯგუფური რბოლები საერთო სტარტით. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლაში ჩაება რვა ნაკრები კოლექტივი — ორი თბილისიდან, თითო — აფხაზეთიდან, აჭარიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, გორიდან და გლდანის სკოლა-ინტერნატიდან.

ინდივიდუალური რბოლის მონაწილეთათვის მსაჯთა კოლეგიამ აარჩია 25-კილომეტრიანი ტრასა ნატახტრის გზატკეცილზე. რიგ-რიგი სტარტი ველორბოლის ერთ-ერთი ურთულესი სახეობაა, ვინაიდან აქ ყველაფერი დამოკიდებულია უმთავრესად სპორტსმენის ფიზიკურ მონაცემებზე. გაქვს ძალა, სისწრაფე და გამძლეობა — გაივლი დისტანციას კარგ დროში. დახმარებას არავისგან უნდა ელოდე, ვინაიდან მონაწილეებს სტარტიდან სათითაოდ უშვებენ ინტერვალის ზუსტი დაცვით.

თბილისის პირველი გუნდის წევრის სივაჟელეზოვის შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. მან გაიმარჯვა ამ სახეობაში. II და III ადგილები კი ორმა მონაწილემ გაიყო ერთნაირი შედეგით, რაც ინდივიდუალურ რბოლაში იშვიათია.

აფხაზეთის ველოსიპედისტებმა ამ ტურნირში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. როგორც ჩანს, ისინი ხაყოფიერად მოემზადნენ ასპარეზობისთვის და უქმად არ დაკარგეს დრო ზამთრის პერიოდში. აფხაზეთის ველოსიპედისტებმა გუნდურ რბოლაში (50 კმ) თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და ბოლომდე შეინარჩუნეს. II ადგილისთვის ბრძოლა კი ძირითადად თბილისის გუნდებს შორის გაჩაღდა.

საგზატკეცილო ველორბოლაში სანახაობრივად ყველაზე საინტერესოა ჯგუფური რბოლა საერთო სტარტით. მართალია, სპორტსმენის ინდივიდუალური მონაცემები აქაც ასრულებს როლს, მაგრამ ისეთ გადამწყვეტს არა, როგორც რიგ-რიგი სტარტის დროს. ჯგუფურ რბოლაში მთავარია ტაქტიკური აზროვნებისა და რთულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის უნარი.

სტარტიდან დაწინაურდნენ ჩკალოვი (აფხაზეთი), კენია, ვერულაშვილი (ორივე — აჭარა) და თბილისელი ყვითელაშვილი. ამ კვარტეტმა ლიდერობა შეინარჩუნა დაახლოებით მე-10 კილომეტრამდე, მერე კი ტემპს ვერ გაუძლეს ვერულაშვილმა და ყვითელაშვილმა. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ დაწინაურებულთა დუეტს წამოეწია თბილისელი ხარიტონოვი. ამ სამეულმა ლიდერობა შეინარჩუნა მე-60 კილომეტრამდე. რბოლის დამთავრებას 15 კილომეტრიღა აკლდა და ყველა დარწმუნდა, რომ ეს ტრიო გაინაწილებდა კიდეც საპრიზო ადგილებს, მაგრამ...

აი, ძირითად ჯგუფს გამოეყო თბილისელ ველოსიპედისტთა უძლიერესი დუეტი: ჩივარდოვი — სივაჟელეზოვი, რომელმაც ფაქტიურად შეუძლებელი შეძლო. იგი დაეწია ლიდერთა სამეულს, მაგრამ სივაჟელეზოვს ეს თავგანწირვა ძვირად დაუჯდა: ველოსიპედი დაუზიანდა და საბოლოოდ გამოეთიშა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას.

ფინიშთან პირველი მიიჭრა ჩივარდოვი, რომელმაც შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა. 31 წამის შემდეგ ფინიშს მოასპარეზეთა ძირითადი ჯგუფი მოაწყდა. აქ კი პირველი იყო პერსპექტიული ქუთაისელი ველოსიპედისტი ფხაკაძე.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თასის გათამაშებას მომზადებული შეხვდნენ აფხაზეთის ველოსიპედისტები. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისელებმაც. საპატიო ჯილდო კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის პირველი გუნდის წევრებმა მოიგეს.

თ. ჯოგაძე.

ტექნიკური შედეგები

ინდივიდუალური რბოლა 25 კილომეტრზე რიგ-რიგი სტარტით. 1. ა. სივაჟელეზოვი — 37.01; 2-3. რ. ქრისტესიაშვილი (ორივე — თბილისი I) და ი. ჩკალოვი (აფხაზეთი) — 37.49 (თითოეულს).

გუნდური რბოლა 50 კმ-ზე. 1. აფხაზეთი (ი. ჩკალოვი, ე. პოპოვი, ე. მანუშაროვი, მ. მელქონიანი) — 1:10.06; 2. თბილისი I — 1:10.42; 3. თბილისი II — 1:13.58.

ჯგუფური რბოლა 75 კმ-ზე. 1. პ. ჩივარდოვი (თბილისი I) — 1:54.10; 2. ი. ჩკალოვი — 1:54.29; 3. ვ. ხარიტონოვი (თბილისი I) — 1:54.37; 4. თ. კენია (აჭარა) — 1:54.42.

ორ ტურად

აბაშის დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა ორ ტურად ჩაატარა შეჯიბრება პნევმატური შაშხანის სროლაში. პირველი ტურის ასპარეზობანი ადგილებზე გაიმართა. მეორე ტურში რაიონის რვაწლიანი სკოლების 9 გუნდი გამოვიდა, გამარჯვება მოიპოვა აბაშისპირის სკოლის კოლექტივმა. II ადგილზეა საგვაზაოს სკოლის ნაკრები, III — ეწერის სკოლის გუნდი.

პირად პირველობაში იმარჯვა თ. გუგუშვილმა (ეწერი). მან 50-დან 47 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა ზ. ცომაიამ (ნოღოხაში) — 45, III — ზ. თირქიამ (განათლების კარი) — 44.

შეჯიბრებას თავი აარიდეს წყემის, კვათანისა და ძველი აბაშის რვაწლიანი სკოლების კოლექტივებმა.

რ. ჟანტურია.
(ჩვენი კორ.).

აბაშა.

გამარჯვებულს — უნიკალური ჭადრაკი

სომხეთის დედაქალაქში დამთავრდა ერევნის ვაჟთა I საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ფინეთისა და შვეციის 16 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

გთავაზობთ შედეგებს: რომანიშინი — 10,5 ქულა, გულკო, სავონი — 9,5-9,5, ვასიუკოვი, ტუკმაკოვი (ყველა — სსრ კავშირი), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 9-9, ჩომი (უნგრეთი) — 8,5, ვაგანიანი (სსრ კავშირი) — 8, შმიდტი (პოლონეთი) — 7,5, მნაცაკანიანი — 7, გრიგორიანი (ორივე — სსრ კავშირი), ოსტოიჩი (იუგოსლავია) — 6,5-6,5, ა. პეტროსიანი (სსრ კავშირი) — 6, ორნსტეინი (შვეცია), პოუტიაინენი (ფინეთი), როდრიგესი (კუბა) — 4,5-4,5.

მთავარი ჯილდო — ჭადრაკის უნიკალური კომპლექტი, რომელიც სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა, რომანიშინს გადაეცა.

რომანიშინმა და გულკომ საერთაშორისო დიდოსტატის (9 ქულა) ნორმატივი შეასრულეს, ხოლო ერევნელმა მნაცაკანიანმა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის ერთი ბალი მოიპოვა (7 ქულა).

დასკვნითი ტური დარჩა

ტალინი, 9 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ, დიდოსტატ პ. კერესის სახელობის საჭადრაკო კლუბში, დასასრულს მიუახლოვდა ჭაბუკ მოჭადრაკეთა საკავშირო შესარჩევი მატჩ-ტურნირი.

XI ტურში ზ. სტურუამ (თბილისი) სძლია ს. დოლმატოვს (მოსკოვის ოლქი). გ. ზაიჩიკი (თბილისი) დამარცხდა ლ. ზაიდთან (კიევი). გადაიდო რ. კორსუნსკი (ბაქო) — ე. ვლადიმიროვის (ალმა-ათა) და ა. მაჩულსკი (ხარკოვი) — გ. ტაბოროვის (კიევი) პარტიები.

XII ტურში სტურუამ მოუგო მაჩულსკის, ვლადიმიროვმა — ზაიდს, კორსუნსკიმ — ტაბოროვს. დაუმთავრებელი დარჩა ზაიჩიკ — დოლმატოვის პარტია.

XIII ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა: ყაიმზე შეთანხმდნენ დოლმატოვი — ვლადიმიროვი და სტურუა — ზაიჩიკი.

10 აპრილს შედგება დასკვნითი, XIV ტური, რომელიც დაასახელებს ჭაბუკთა მსოფლიოს და ევროპის პირველობების საბჭოთა მონაწილეთა გვარებს.

ო. ალხანიშვილი.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გუშინდელი

გამართული კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: „ქაირათი" (ალმა-ათა) — „რუბინი" (ყაზანი) 2:0, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:0, „პამირი" (დუშამბე) — „ზვეზდა" (პერმი) 0:0, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დაუგავა" (რიგა) 2:1, „თერგი" (გროზნო) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0.

II ლიგა I ზონა

5 ტურის კალენდარი

მოგვყავს II ლიგის I ზონის გუნდების პირველი 5 ტურის კალენდარი.

10 აპრილი, შაბათი

„დინამო" (ზუგდიდი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)
„გურია" (ლანჩხუთი) — „ზვეინიეკსი" (ლიეპაია)
„დინამო" (ბათუმი) — „ატლანტასი" (კლაიპედა)
„ლოკომოტივი" (სამტრედია) — ფიზკ. ინსტ. (ერევანი)
„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ავტომობილისტი" (ბაქო)
„სპერანცა" (დროკია) — „დინამო" (ბრესტი)
„მეტალურგი" (რუსთავი) — „დვინა" (ვიტებსკი)
„შირაკი" (ლენინაკანი) — „დნეპრი" (მოგილიოვი)
„პროგრესი" (კიროვაბადი) — „მაშინოსტროიტელი" (გომელი)

14 აპრილი, ოთხშაბათი

„დინამო" ზ. — „ატლანტასი"
„გურია" — „ჟალგირისი"
„დინამო" ბთ. — „ზვეინიეკსი"
„მაღაროელი" — ფიზკ. ინსტ.
„დილა" (გორი) — „ავტომობილისტი"
„სპერანცა" — „ხიმიკი" (გროდნო)
„მეტალურგი" — „მაშინოსტროიტელი"
„შირაკი" — „დვინა"
„პროგრესი" — „დნეპრი"

18 აპრილი, კვირა

„დინამო" ზ. — „ზვეინიეკსი"
„გურია" — „ატლანტასი"
„დინამო" ბთ. — „ჟალგირისი"
„ლოკომოტივი" — „ავტომობილისტი"
„დილა" — ფიზკ. ინსტ.
„დინამო" ბრ. — „ხიმიკი"
„მეტალურგი" — „დნეპრი"
„შირაკი" — „მაშინოსტროიტელი"
„პროგრესი" — „დვინა"

24 აპრილი, შაბათი

„ზვეინიეკსი" — „მეტალურგი"
„ატლანტასი" — „შირაკი"
„ჟალგირისი" — „პროგრესი"
„ლოკომოტივი" — „მაღაროელი"
„ხიმიკი" — „მაშინოსტროიტელი"
„დვინა" — „სპერანცა"
„დნეპრი" — „დინამო" ბრ.
ფიზკ. ინსტ. — „დინამო" ზ.
„ავტომობილისტი" — „გურია"

28 აპრილი, ოთხშაბათი

„ზვეინიეკსი" — „პროგრესი"
„ატლანტასი" — „მეტალურგი"
„ჟალგირისი" — „შირაკი"
„მაღაროელი" — „დილა"
„დვინა" — „დინამო" ბრ.
„დნეპრი" — „ხიმიკი"
„მაშინოსტროიტელი" — „სპერანცა"
ფიზკ. ინსტ. — „დინამო" ბთ.
„ავტომობილისტი" — „დინამო" ზ.

მწვანე მინდვრებზე

ერევანი, 7 აპრილი. ევროპის ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატის აქ გამართულ შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 სძლია გდრ-ის გუნდს (ამ კოლექტივთა პირველი შეხვედრა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შარშან შემოდგომაზე ფრედ დამთავრდა — 1:1).

ბურთები გაიტანეს ბალმა (მე-4 წუთზე) და საპსალისმა (60).

მასპინძელთა ნაკრებში ითამაშა თბილისის დინამოელმა დარასელიამ.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა უეფა-ს ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა.

ნევშატელი, 8 აპრილი. შვეიცარიის ამ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი „ქსამაქსის" ამხანაგურმა შეხვედრამ სსრ კავშირის ნაკრებთან. პირველი ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს: ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს 29-ე წუთზე გიიომმა სტუმართა კარი აიღო. მეორე ტაიმი საბჭოთა ფეხბურთელების დიდი უპირატესობით ჩატარდა და თამაშის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, როცა ონიშჩენკომ თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რუდაკოვი (პროხოროვი), ტროშკინი, ფომენკო, რეშკო, მატვიენკო, ბურიაკი (ნაზარენკო), კონკოვი, სახაროვი, ვერემეევი, ფიოდოროვი (ონიშჩენკო), ბლოხინი.

ლაიპციგი, 8 აპრილი. გდრ-ის ფეხბურთელებმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან აქ ფრედ (0:0) დამთავრებული მატჩის შემდეგ მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საგზური მოიპოვეს. II შესარჩევ ჯგუფში მათ 6 ქულა მოაგროვეს (2 მოგება, 2 ფრე) და I ადგილი დაიკავეს. ამ ჯგუფში, სადაც ავსტრიის ფეხბურთელებიც თამაშობენ, ჩასატარებელი დარჩა ერთი შეხვედრა, მაგრამ მისი შედეგი ადგილების განაწილებაზე არ იმოქმედებს: ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიელებს 3 ქულა აქვთ, ავსტრიელებს — 1.

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრებში საბჭოთა ნაკრების მომავალმა მეტოქემ — ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა ზემოაღნიშნულ მატჩამდე პარიზის „პარკ დე პრენსის" მინდორზე ამხანაგური მატჩი ჩაატარა საფრანგეთის ნაკრებთან.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

საფრანგეთი — ბერტრან-დემანე, დომენეში, რიო, ტრეზორი, ბოსისი, პლატინი, მიშელი, რამპიიონი (ქუვე), სოლერი (სი), პინტენა, ემონი;

ჩეხოსლოვაკია — ვიქტორი, ბიროში (დობიაში), იურკევიჩი, ონდრუში, გოოგი, ჩაპი, პოლაკი, გალიუშკა, მასნი (შველიკი), ნეჰოდა, პეტრაში (მოდერი).

მე-16 წუთზე მიშელისა და ემონის კომბინაცია სოლერმა დააგვირგვინა, რის შემდეგაც, მიუხედავად ბევრი შესაძლებლობისა, ანგარიში კარგა ხანს არ შეცვლილა. 74-ე წუთზე პლატინიმ მეორედ აიღო ვიქტორის კარი.

თამაშის ბოლომდე 15 წუთი იყო და ყველას ეგონა, რომ გამარჯვება მასპინძლებს დარჩებოდათ. მაგრამ 79-ე წუთზე ონდრუშმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მერე კი, 84-ე წუთზე დობიაშმა ისარგებლა ფრანგების კარის დარაჯის შეცდომით და წონასწორობა აღადგინა — 2:2.

ტურინი, 8 აპრილი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში იტალიის ნაკრებმა ანგარიშით 3:1 (1:0) დაამარცხა პორტუგალიის ეროვნული გუნდი.

გლაზგო, 8. აპრილი. შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 1:0 სძლია შვეიცარიის ნაკრებს.

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

ჰოლანდია

XXV ტურში ჩემპიონმა და ლიდერმა „ფშვ ეინდჰოვენმა" ამსტერდამში აჯობა ადგილობრივ „აიაქსს" ანგარიშით 3:1 და კვლავ დაწინაურდა. როტერდამის „ფეიენოორდმა" სტუმრად ფრედ ითამაშა „ნიმეგენთან" — 1:1. ენსხედეში ადგილობრივმა „ტვენტემ" ასევე ფრედ დაამთავრა შეხვედრა „ალკმაართან" — 2:2.

	თ.	ბ.	ქ.
„ფშვ ეინდჰოვენი"	25	73:23	39
„ფეიენოორდი"	25	55:29	38
„ტვენტე"	25	47:21	36
„აიაქსი"	25	51:26	36
„ნიმეგენი"	25	33:24	32

ბელგია

გათამაშების ლიდერმა „ფკ ბრიუჟემა" ლიეჟში სძლია ადგილობრივ „სტანდარდს" — 1:0. ბურთი გაიტანა ვან დერ ეიკენმა. „ლოკერენმა" სტუმრად აჯობა „შარლერუას" — 2:1. ბრიუსელის „ანდერლეხტმა" შინ ფრედ (2:2) ითამაშა „მალინუასთან" და კვლავ V ადგილზეა. ჩემპიონმა — მოლენბეკის „რასინგ ვიტმა" სტუმრად მოუგო „მალინს" — 2:0.

31 თამაშიდან „ფკ ბრიუჟემა" დააგროვა 44 ქულა, „ლოკერენმა" — 39, ხოლო „ბევერენმა" — 37. „რასინგ ვიტსაც" 37 ქულა აქვს, ხოლო „ანდერლეხტს" — 36.

გდრ

მორიგი, XX ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა დრეზდენში, სადაც ჩემპიონი და ლიდერი — ადგილობრივი „დინამო" „მაგდებურგს" შეხვდა. დრეზდენელებმა ჰაიდლერმა და კრაიშემ ორი „მშრალი" ბურთი გაიტანეს და ლიდერმა გაიმარჯვა — 2:0. ბერლინში ადგილობრივმა „დინამომ" მოუგო „კარლ-მარქს-შტადტს" — 4:0. სამი გოლი გაიტანა რიდიგერმა.

სნაიპერთა სიას ლიდერობს ჰანს-იურგენ კრაიშე (დრეზდენის „დინამო") — 18 გოლი. ფოგელი (იენის „კარლ ცაისი") 16 გოლით მეორეა, ხოლო რიდიგერი (ბერლინის „დინამო") 13 გოლით III ადგილზეა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (დრეზდენი)	20	14	4	2	53:21	32
„დინამო" (ბერლინი)	20	12	2	6	50:21	26
„მაგდებურგი"	20	10	6	4	42:25	26

ბულგარეთი

სოფიაში ლიდერმა „ლევსკი-სპარტაკმა" მოუგო „აკადემიკს" — 2:0. ორივე გოლი ბორდანოვმა გაიტანა. ჩემპიონმა — სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" პლოვდივში სძლია „თრაკიას" — 3:0. გოლები გაიტანეს დიმიტროვმა, მეტოდიევმა და პრიტერგოვმა.

სნაიპერთა სიას 12-12 ბურთით ლიდერობენ ხრისტოვი („დუნავი") და პეტკოვი („ბეროე").

„ლევსკი-სპარტაკი"	20	11	7	2	39:23	29
ცსკა-„სეპტ. ზნამე"	20	10	7	3	35:20	27
„აკადემიკი" (სოფია)	20	9	5	6	21:17	23

(საქ. ინფ.).

სხვადასხვა ამბები-76

● მინსკი, 8 აპრილი. მოფარიკავეთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში უკვე გათამაშდა მედლების ორი კომპლექტი. რაპირისტ ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი ადგილობრივმა დინამოელმა ა. რომანკოვმა მოიხვეჭა. II ადგილზეა ლვოველი ვ. სტანკოვიჩი, ხოლო III — ფრუნზელი ი. ლიკოვი. დღეს გამოვლინდნენ პრიზიორები ხმლით ფარიკაობაში. ჩემპიონი გახდა მოსკოველი ვ. კროვოპუსკოვი, ვერცხლის მედალი ვ. ნაზლიმოვმა (მოსკოვის ოლქი) მოიპოვა, ხოლო ბრინჯაოსი — ლენინგრადელმა ე. ვინოკუროვმა.

● დუბლინი, 8 აპრილი. დანიის ბადმინტონისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიგო: გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 3:2 სძლია ინგლისის სპორტსმენებს, რომელთათვისაც ეს პირველი წაგება იყო ამ ტურნირში. ჩემპიონატის დებიუტანტებმა — საბჭოთა ბადმინტონისტებმა III ადგილი დაიკავეს მეორე ჯგუფში. მათ ანგარიშით 4:1 დაამარცხეს უელსის ნაკრები, მერე კი წააგეს შეხვედრები შოტლანდიელებთან (2:3) და ჰოლანდიელებთან (1:4). ამ ჯგუფში სწორედ ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს. დღეს დაიწყო პირადი ტურნირი. შეჯიბრებაში 13 ქვეყნის 107 სპორტსმენი მონაწილეობს.

ათი ქვეყნის...

ლონდონი. (საკდესი). ტრადიციულ „რძის რბოლაში", რომელიც 30 მაისს აიღებს სტარტს ბრაიტონში (დიდი ბრიტანეთი), ჩაებმებიან 10 ქვეყნის ველოსიპედისტები — უმეტესად ოლიმპიური გუნდების წევრები. ორგანიზატორები ამაყობენ, რომ 1972 წლის ამგვარ ტურნირში გამარჯვებულმა, ჰოლანდიელმა ჰენი კუიპერმა ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა. შეჯიბრება 12 ივნისს დამთავრდება ბლეკპულში. სპორტსმენებმა 1770 კილომეტრი უნდა გაიარონ. 12 ეტაპიდან თითოეულის სიგრძე საშუალოდ 147 კილომეტრი იქნება.

შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის ფედერაციებმა, ასპარეზობაში ჩაებმებიან ახალი ზელანდიის სპორტსმენებიც — იქ უკვე გამოცხადდა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა.

ინგლისის ველოსპორტის მესვეურებს განზრახული აქვთ ოლიმპიური გუნდის წევრები რბოლის წინ დაასახელონ, რათა სპორტსმენებს თავიდან აიცილონ მონრეალის საგზურისთვის ბრძოლის მღელვარება. მაგრამ ორ ძირითად კანდიდატს უკვე ასახელებენ. ესენი არიან ლივერპულელი ბილ ნიქსონი და ტაინსაიდელი ჯო ვო.

სარბიელზე გამოვლენ აშშ-ს, შვეიცარიის, ნორვეგიისა და ირლანდიის გუნდებიც.

აფრიკის პირველობაზე

32 ქვეყანამ შეიტანა განაცხადება აფრიკის ეროვნული გუნდების პირველობაში მონაწილეობისთვის, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

დღემდე აფრიკის ჩემპიონები იყვნენ: 1958 წ. — ეგვიპტე, 1960— ეგვიპტე, 1962—ეთიოპია, 1964 — განა, 1966 — განა, 1968 — ზაირი, 1970 — სუდანი, 1972 — კონგო, 1974 — ზაირი.

მორიგი, X ჩემპიონატი ადის-აბებაში (ეთიოპია) გაიმართება.

საქართველოს გუნდი III ადგილზეა

7 აპრილს ლვოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის ღია გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. თასის მფლობელი გახდა რსფსრ-ს გუნდი — 15319 ქულა. შემდეგ მოდიან მოსკოვის პირველი კოლექტივი (15001) და საქართველოს ნაკრები (1483).

ქულები თანაბრად გაიყვეს

5-6 აპრილს ბაქოში გაიმართა „ა" კლასის I ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები — მასპინძელი არმიელები თბილისის „ბურევესტნიკს" შეხვდნენ.

მეტოქეებმა ქულები თანაბრად გაიყვეს: პირველ დღეს მასპინძლებმა იმარჯვეს (3:2), მეორე დღეს კი თბილისელებმა რევანში აიღეს — 3:1.

კიდევ ორი დიდი ოქროს მედალი

ბერლინი, 8 აპრილი. ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვეს.

ქვესაშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა 25 წლის ლენინაკანელმა შოფერმა ვ. მილიტოსიანმა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 340 კილოგრამის დაგროვებით ოქროს ჯილდო მოიხვეჭა. ეს შედეგი ბულგარელი ნ. კოლევის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. II ადგილზე გავიდა გდრ-ის სპორტსმენი პ. ვენცელი, რომელიც გამარჯვებულს 5 კილოგრამით ჩამორჩა. ბულგარელი ი. მიტკოვი III ადგილზე გავიდა — 330 კგ. ატაცში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მოიგო ვენცელმა, ხოლო აკვრაში — მილიტოსიანმა.

დამატებითს, მეოთხე ცდაზე მიტკოვმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 190,5 კგ. მაგრამ ამ რეკორდს დიდი დღე არ ეწერა — მილიტოსიანმა იგი კიდევ ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა.

საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა მინსკელმა ოფიცერმა 28 წლის ვ. შარიიმ — 367,5 კგ. ეს მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. 2,5 კილოგრამით ჩამორჩა ჩემპიონს 19 წლის ბულგარელი ბ. ბლაგოევი. 365 კგ დააგროვა მეორე ბულგარელმა ტ. სტოიჩევმა, მაგრამ იგი თანამემამულეზე მძიმე იყო და დიდი ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად.

ატაცი მსოფლიო რეკორდით მოიგო სტოიჩევმა — 167,5 კგ, ხოლო აკვრა ასევე მსოფლიო რეკორდით — რ. მილზერმა (გფრ) — 207,5.

რეკორდები

ალმა-ათა, 8 აპრილი. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე ირკუტსკელმა ა. პოგოდაევამ გააუმჯობესა ქალთა საციგურაო სპორტში ყველაზე ძველი საკავშირო რეკორდი — 5000 მეტრი 8 წუთსა და 11,74 წამში გაირბინა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ველოსპორტი. ცენტრალური ველოდრომი. 10 აპრილი. სპრინტერთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. მონაწილეობენ სსრ კავშირის უძლიერესი ველოსიპედისტები. დასაწყისი 15 ს.

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 13 აპრილი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი). დასაწყისი 16 ს. 30 წთ. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი). 17 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. გარდა ორშაბათისა და კვირას,ლევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზ.კულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56, მოსწავლეთა და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.